დანართი1
„დამტკიცებულია“

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“
დირექტორის მ.შ
2025 წლის ___ დეკემბერი N02-09/__ ბრძანებით

კონკურსი

პოზიციის სრული დასახელება: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახური - რადიოს მიმართულებით დილის გადაცემის რეპორტიორის პოზიციაზე;

ვაკანსიის ოდენობა: 1 (ერთი)

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის N41

შრომის ანაზღაურება: 1250 ლარი (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით);

გამოსაცდელი ვადა: 6 (ექვსი) თვე.

სამუშაოს აღწერილობა:

ა)თემების გამოვლენა, ანალიზი, მათი შერჩევა და რედაქტორის მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში თითოეულ თემაზე სრული ინფორმაციის მოძიება, ექსკლუზიური თემების მოძიება;
ბ) თემების მოპოვების მიზნით შესაბამის ადგილზე გასვლა, ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გადამუშავება, რესპონდენტების შერჩევა, სათანადო მოქმედებების ოპერატიულად განხორციელება;
გ) თემების შესაბამის სატელევიზიო და რადიო პროგრამებსა და ვებკონტენტში სრულად ასახვა;
სარედაქციო და აუდიოვიზუალური მასალის შინაარსობრივად მაღალი ხარისხით მომზადება;
დ) შინაარსის მიხედვით სატელევიზიო და რადიო პროგრამებისა და ვებკონტენტის დროულად, ვადებში მომზადების უზრუნველყოფა და პრობლემების შემთხვევაში მათზე ოპერატიული რეაგირება;
ე) ობიექტურობის, დაბალანსებულობისა და ეთიკის ნორმების დაცვა, დარღვევის საფრთხეების წინასწარ შეფასება, დარღვევის შემთხვევების მაქსიმალური გამოვლენა;
ვ) სამსახურის უფროსის, რედაქტორის, პროდიუსერის ან სხვა პასუხისმგებელი პირების მითითებების შესრულება.

ძირითადი მოთხოვნები:

- ექსტრემალურ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- შრომისმოყვარეობა;
- ენერგიულობა/ორგანიზებულობა;
- კრეატიულობა და ორიგინალურობა;

- ტექნიკური შესრულების ხარისხის განსაზღვრა;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- განცხადება;
- ავტობიოგრაფია (CV);
- ცნობა (ნასამართლობის შესახებ, სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმება)
- ჯანმრთელობის ცნობა
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ფოტოსურათი 3X4;

- **შენიშვნა: აუცილებელია წარმოადგინოთ სამოტივაციო წერილი; ასევე 2 ან მეტი აუდიო სიუჟეტი (არა პოლიტიკური)**

კონკურსის ეტაპები:

- კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად.
- პირველ ეტაპზე კომისია წარმოდგენილი განცხადებების მიხედვით მოახდენს კანდიდატების გადარჩევას და დაუკავშირდება მხოლოდ შერჩეულ პირებს.
- მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება და ტექნიკური მხარის ცოდნის შეფასება.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა:

განაცხადები განიხილება სპეციალური კომისიის მიერ ქულათა სისტემით. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, ჯამური შეფასების ქულათა სისტემით. კომისია საბოლოო გადაწყვეტილებს მიიღებს განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში. განაცხადება მიიღება 2025 წლის 2 დეკემბრიდან - 8 დეკემბრის ჩათვლით, როგორც ელექტრონულად ასევე მატერიალურად (HR@ajaratv.ge).

საკონტაქტო პირი: ნათია ხუნდაძე - HR მენეჯერი
საკონტაქტო ინფორმაცია: 577 23 26 07
საკონტაქტო ელ-ფოსტა: HR@ajaratv.ge

შენიშვნა:

1. დაინტერესებულმა პირმა გამოგზავნილი ელ-ფოსტის სათაურში (subject) უნდა მიუთითოს სასურველი ვაკანტური პოზიციის დასახელება ან დოკუმენტაცია წარმოადგინოს მატერიალური სახით;
2. კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის განაცხადების რეგისტრაციის შესახებ) დაინტერესებულ პირს მიეწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;